№ 187
პარასკევი, 1 სექტემბერი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 70 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 55 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 187
პარასკევი, 1 სექტემბერი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი აუწყებს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ, რომ 11 სექტემბერს **კრწანისის ველზედ მეფის ერეკლე II ჯარსა და აღა-მაჰმად ხანის ლაშქრის შორის მომხდარ ბრძოლის ასის წლის შესრულების დღეს**, ლიტურგიის შემდეგ ბერძენთა წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში, კრწანისის ველზედ გარდახდილ იქმნება **პანაშვიდი მართლ-მადიდებელ ჯარის კაცთა სულის მოსახსენებლად**, რომელთაც სარწმუნოებასა და სამშობლოს შესწირეს თავი და აგრეთვე სამადლობელი სალმრთო პარაკლისი **სამეფო, საიმპერატორო ოჯახისა** და ქრისტეს მოყვარე რუსეთის მხედრობის სადღეგრძელოდ, რომლის მფარველობის ქვეშეც საქართველო ერთის საუკუნის განმავლობაში დაურღვეველის, მშვიდობიანის მოქალაქობრივის განვითარებით სარგებლობდა.
დასაწყისი ლიტურგიისა იქნება დილის 9 საათზედ.
(6—1).

**გამგეობა ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა**

ამით აცხადებს, რომ 20 აგვისტოდგან დაიწყება გამოსაცდელი წარმოდგენები. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს დასში, კეთილ ინებოს და შემოიტანოს თხოვნა 30 ამ თვემდე თეატრის დარბაზში 12-დამ 1 საათამდე ყოველდღე.

მსურს საპატიო ოჯახში ვისწავლო ბავშვებს საღამოობით. სამაგიეროდ უნდა ბინა და ხარჯი მომეცეს. ინსტიტუტის კურს შესრულებული ახალგაზრდა ქალი.
ადრესი: „ივერიის“ რედაქცია. (3—უ—1)

**ვ კ ი ს რ უ ლ ო ბ**

ყოველ გვარს სასამართლო საქმეს, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვკისრულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**
მსურველნი მოგვმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა № 30, იკითხეთ ა. მ. ანანაშვილი.

კვირას, 3 სექტემბერს, ქართველ თავად-აზნაურთა თეატრში გამოჩენილი ფრანგი ფიზიკი
**გ. დერსენი**
გამართავს სხვა-და-სხვა სურათებისას
**საღამოს.**
დასაწყისი 9 საათზედ.

**ქუთაისს**
ი. ი. ოცხელის სასწავლებელში და საყმაწვილო ბაღში სწავლა დაიწყება 1-ლ ენკენისთვიდგან.
(3—1799—3)

**სიღნაღის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორი** ამით აცხადებს, რომ ხსენებულ სასწავლებელში მოწაფეთა მიღება და ეგზამენები 27 აგვისტოს დაიწყება, სწავლა-კი —3-ს სექტემბერს.

## ახალი ამბავი

** დღეს, 1 სექტემბერს, ღამის 7½ საათზედ დანიშნულია მორიგი სხდომა კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებისა, რომელზედაც წაკითხულ იქმნებიან მოხსენებანი—ფ. ა. როზენბაუმისა „აღწერა ავადმყოფთა“, ნ. მ. ვოსკრესენსკისა „მაჭინებელი ლიმფის ექიმობის შესახებ“, ა. ფ. ბერნაცკიისა „გულის ფიცრის კანტენტალ გადატეხის გამო, როდესაც მისი მორჩენა შესაძლებელია“ და ს. ი. ანანოვისა „შენიშვნა vaginofixatio uteri-ის ოპერაციის შესახებ.
სხდომაზედ გარეშე პირთაც შეუძლიანთ დასწრება.

** თორმეტს აგვისტოს ქ. პოლტავაში მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა ჯერ ისევ ყმაწვილი ერთი ჩვენი თანა მოძმე თავადი კონსტანტინე ანდრიას ძე ერისთავი—უფროსი ძმა პოლტავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მიხეილ ანდრიას ძე ერისთავისა და მონათესავე ჩვენის სახელოვანის პოეტის რაფიელისა. განსვენებული, თუმცა კარგა ხანია სრულიად მოწყვეტილი იყო თავის უწინდელ მიწა-წყალს, მაგრამ ბუნებას იმისთვის ისევ შეერჩინა ნამდვილი ქართველის გული და სული.

** რედაქციამ მიიღო ქუთაისის საკერძო სკოლის-მიერ გამოცემული საყმაწვილო წიგნები: „მფარველი ანგელოზი“ და „მეფე მლიას და მისი მწყემსი“. წიგნები კარგს ქაღალდზეა დაბეჭდილი, შეიცავს 14—14 გვერდსა და ღირს თითო შაური.

** ს. რუისი, (ქართლი): სამწუხაროა რუისელების მდგომარეობა. წინანდელმა ნოტიო ჰავამ და ივლისის ნახევრიდამ სიცხემ ყოველს ვენახს მილდიუ გაუჩინა. გლეხები ამ ჭირს მოვლინებულ ღვთის რისხვათა სთვლიან და სრულიად არა სჯერათ, რომ შეიძლება ამ ჭირის თავიდგან აცილება. თუმცა სამის წლის წინად აქ მათ თვალ-წინ სწამლობდნენ ვენახებს, მაგრამ მათ მაინც არა იწამეს-რა. მთელს სოფელში მხოლოდ ერთი მეპატრონე სწამლობდა ვენახს და იმანაც ძლივს დაიგვიანა წამლობა. ადგილობრივს თავად-აზნაურობას და ინტელიგენციას შეეძლო თავისი მაგალითით ემოქმედნა გლეხობაზედ, როგორმე, მაგრამ თვითონ ისინი თავიანთ ვენახებსაც არა სწამლობენ. ისინი ძლიერ გარეგარე ექცევიან გლეხს, არ უნდათ

## ფელეტონი

### პატიოსნება

კომედია ოთხ მოქმედებად გ. ზუდერმანისა,
(შემდეგი*)

მეოთხე მოქმედება
მოწყობილება მეორე მოქმედებისა.

I

ტრასტი, რობერტი (რომელსაც იღლიაში ანგარიშის წიგნი უჭირავს) და ვილჰელმი.

ვილჰელმი. სასტიკად მაქვს აღკრძალული ბ-ნ ხეინეკეს მიღება.
ტრასტი. ჩემიც?
ვილჰელმი. რასა ბრძანებთ, როგორ შეიძლება. თქვენი საქმე სულ სხვა გახლავთ.
ტრასტი. დიდად, დიდად გმადლობთ. ბ-ნი ხეინეკე ჩემთან ერთად მოვიდა და პასუხის-გებას მე ვკისრულობ. აქ დაუძახეთ ბ-ნს მიულინგს.
ვილჰელმი. კარგი, მაგრამ...
ტრასტი. რომელს უფრო ამჯობინებთ: ოქროს ფულსა, თუ ქაღალდისას? (ქისიდან იღებს) განა სახლში არავინ არის?
ვილჰელმი. თვით ბ-ნი მიულინგი ქარხანაში გახლავთ, ქალბატონი ავად ბრძანდება, შაკიკი აქვს, ხოლო ახალგაზრდა ქალბატონი და ბატონიშვილი ქალაქშია წაბრძანდნენ.
ტრასტი. ერთად?
ვილჰელმი. ოჰ, არა, ერთად არასოდეს არ მიბრძანდებიან. ახალგაზდა ბატონს უნდოდა ეჯრა შეთვალა იმ ბატონებისათვის, რომლებიც სადღესოდ იყვნენ მოწვეულნი...
ტრასტი. (ფულს აძლევს) ძალიან კარგი, წადით.
ვილჰელმი. რა მიბრძანეთ?
ტრასტი. არაფერი, წადით. (ვილჰელმი თავს დაუკრავს და გავა).

II

ისინივე, უვილჰელმოდ.

ტრასტი. აქ მოდი, ჩემო პაწია.
რობერტი. რა გინდა?
ტრასტი. მე? კარგად იცი, მე არასოდეს არა მინდა-რა ხოლმე. ჩემთვის შემოსავლის ნაკლებობა ვცდილვარ. მაგრამ აქ ან რა არის საკითხავი: შენ რა გინდა ამ სახლში?
რობერტი. ანგარიშის ჩაბარება.
ტრასტი. არა, ეს ვიცი. ერთი რამ არ მესმის. თუ არ გინდა შეეხო იმ ხელს, რომელსაც ასეთის შემთხვევისთვის ყოველს პატიოსანს მუშას გაუწოდებენ ხოლმე, არ მესმის, შენს ანგარიშს რატომ პირდაპირ კანტორაში არ გაჰგზავნი და ამითი არ მორჩები და არ გათავდები.
რობერტი. რასაკვირველია, ეს უფრო ადვილი იქნებოდა.
ტრასტი. ჩემო ძვირფასო, ნება მომეცი ერთხელ კიდევ მოგახსენოთ ისე, როგორც ჩემს მეგობარს.
რობერტი. სთქვი, სთქვი.
ტრასტი. აჩრდილისა და ლანდის გამოჭკიდებითარ.
რობერტი. ვითომ?
ტრასტი. პირადად შენს პატიოსნებას არავინ შეჰხებია.
რობერტი. ნუ-თუ?
ტრასტი. იმიტომ-რომ ქვეყანაზედ ამისი ქმნა არავის არ შეუძლიან.
რობერტი. დიახ, დიახ.
ტრასტი. ის, რასაც შენ შენს პატიოსნებას ეძახი, ნარევია ზომიერებისა, მორცხვობის, უდღესობის და თავ-მომწონეობის გრძნობისა; ის არის, რაც შენ თითონვე აღზარდე შენში ზნეობრივის ცხოვრებითა და შენის მოვალეობის სასტიკად აღსრულებით. ამ პატიოსნებას ისევე ძნელად წაგართმევს ვინმე თავისის ხაზმურის ყოფა-ქცევით, როგორც გულ-კეთილობასა და სიღრმე გონებას. ეს პატიოსნება ან ნაწილია შენის „მე“-სი, ან იგი სულ არ არსებობს. შენ სიგრძით არა გაქვს-რა იმითით, ვის პატიოსნებასაც ყოველი კუდაბზიკობით ერთის დაუდევრობით და დასრიალებელ ხელით აშიარეს შეურაცხ-ჰყოფს... ის პატიოსნება კარგია, როგორც სანახავი კარგი სულიერებისათვის, როგორც ტიკინი მუქთად მოსეტიალეთათვის და სურნელოვანი წყალი უსახურობისათვის.
რობერტი. შენ იმ კაცსავით ჰლაპარაკობ, რომელიც უბედურებას სათნოებად ჰრაცხს.
ტრასტი. ადვილად შესაძლებელია, რადგან სათნოება უბედურებისაგან მომდინარეობს.
რობერტი. ჩემი ოჯახი?
ტრასტი. მე-კი ამ მეგონა, ოჯახი აღარა გაქვს-მეთქი. (აღგზნებული რობერტი სახეზე ხელებს მიაფარებს). კარგად მესმის, რა მდგომარეობაშიაც ხარ, მაგრამ ეგ შენი ყოფა მხოლოდ კანკალი და ცახცახია ახლად გამოჭრილის ძარღვისა. შენს თავს შენვე ნუ ატყუებ.
რობერტი. შენ და არასოდეს არა გეყოლია და ამიტომ ამბობ ეგრე.
ტრასტი. მითხარი ერთი, თუ ღმერთი გრწამს, ნუ თუ მე, კეთილშობილი შთამომავლობისამ, უნდა გასწავლო შენზედ მეტის შემწედ და ატანა? იცი რა, ჩემო კარგო, შენებს ნუ შეიძულებ და ნუ შეიბრალებ. ნუ იტყვი, რომ ვითომ შენზედ და შენზედ უარესები იყვნენ. ისინი მხოლოდ სხვა ნაირნი არიან და სხვა არაფერი. იმათს სულსა და გულში ისეთი გრძნობანი გამეფებულა, რომელიც შენთვის სულ უცხოა. ისინი ცხოვრებას იმ თვალითა და იმ აზრით უყურებენ, რომელიც შენთვის სრულიად გაუგებარია. ამიტომ იმათი განსჯა და გაკიცხვა სისულელე იქნება. და ეხლა არ იცი, კარგად იცოდე, ჩემო ძამიავ, რომ ამ ბრძოლაში თავიდგან ბოლომდე მტყუანი შენ ხარ.
რობერტი. ტრასტ, შენ ამბობ მაგას?
ტრასტი. დიახ, მე გავბედე ამის თქმა... შენ აქ სხვა ქვეყნიდგან ჩამოხვედი, იმ ქვეყნიდგან, სადაც განათლებულ კაცთა შორის შენი ბუნება ცხრაჯერ მაინც შეიცვალა, და შენებს დასდგომიხარ, გინდათ თუ არა ერთს დღეში შეიცვალოთ ტყავი და ის ნულარ იქნებით, რადაც შექმნილხართო. ესკი მეტის-მეტია, ჩემო პაწია. შენს დას-კი, თუ ამ საქმეს ჩაუკვირდები და მართალს მოთქმევინებ, მიულინგებმა თავისი პატიოსნება დაუბრუნეს, ის პატიოსნება, რომელიც მისთვის საჭიროა, იმიტომ-რომ ამ ქვეყნად ყველაფერს თავისი შესაფერი ფასი აქვს. იქნება კეთილშობილის პატიოსნების შებღალვისათვის სისხლსაც ღვრიდნენ,—იქნება-მეთქი, ვამბობ—ხოლო ქოხ-მაზებში მცხოვრებელთ პატიოსნება შეიძლება ფულითაც სრულიად იქმნას აღდგენილი. (რობერტი გამწყრალ სახეს მიაბრუნებს) თუ ღმერთი გრწამს, არ შემჭამო! მოითმინე, ჯერ არ დამიბოლოვებია სიტყვა... სხვა რა აზრი აქვს აბა ამისთანა შემთხვევაში ყმაწვილის ქალის პატიოსნებას, თუ არ ის, რომ თავის საქმროს მიიტანოს წმინდის გულითა და გულ-წრფელობით. ეგ პატიოსნება ხომ მხოლოდ იმიტომ არის საჭირო, რომ გათხოვდეს როგორმე. კარგი, აბა ეხლა ჰკითხე იმ წრის ხალხს, როდის უფრო იყო შენი და სახარბიელო სიცოცხლე, ეხლა, როდესაც მაგისთანა მზითვით იქნება, თუ წინად?
რობერტი. ტრასტ, სასტიკი ხარ, უწყალო.
ტრასტი. სასტიკი ვითარცა ბუნება, უწყალო როგორც ჭეშმარიტება. მხოლოდ ზარმაცებმა და მხდალებმა იციან ხოლმე, გინდა თუ არა სამოთხის ბედნიერება უნდა წარმო-

*) იხ. „ივერია“, № 174—182.

დაინახონ მისი გაჭირვება და არა ცდილობენ მათთან დაახლოვებას. („კავკ. სამ. საზ.“).

*** დ. საჩხერე, (იმერეთი): 6 აგვისტოს, პ. მაჭავარიანმა შეიპყრო ყაჩაღი ი. ცუცქირიძე. ცუცქირიძე მაისში ციხიდგან გამოიყვანეს და სასამართლოში მიჰყავდათ ცხენით ფეხებ-გაკრული. მან ბორკილი გატეხა და ხელიდამ დაუსხლტა დარაჯებს.

*** გაცხის საზოგადოება, (იმერეთ)ი: ჩვენსკენ ძლიერ გავრცელებულია მუცელა. ერთს ოჯახში ჩვენს სოფელში სამი სული ამოსწყვიტა. არ იქნებოდა ურიგო, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ საშუალება რამ იხმაროს, რომ სხვაგან მაინც არ გავრცელდეს ეს სენი.

წვიმებმა ცოტა არ იყოს თავი მოგვაბეზრა. ღვინის მოსავალი წელს ცოტა იქმნება, რადგან ვენახები მთლად მილდიუმ გააფუჭა ყოველს სოფელში. ღვინოს თუ აქნობამდე საპალნეს 8—10 მანეთად ჰყიდდნენ ჩვენებურები, ეხლა. რა კი გაიგეს ვენახის მოსპობა ვაჭრებმა, 25—30 მანეთსაც იძლევიან. ღვინის მაზანდის დაცემისა გამო ჩვენში არყის ქარხანა გახსნეს. სიმინდიც მგონი იმდენი არ მოგვივიდეს, რამდენსაც მოველოდით. აქეთ კიდეც აცივდა.

ს. ვარძიაში აბანო გააკეთეს, რომელსაც როგორც მოხუცებულები ამბობენ, ისტორიის მხრივ მნიშვნელობა ჰქონია. წყალი ცივია, რკინის ფერი აქვს და ცოტა გემოც. აუზები ბი̇გააკეთეს. მობანავეთა რიცხვი თანდა-თან მატულობს. მგონი ექიმის შეუმოწმებელია და კარგი იქნებოდა აბანოს წყალი გამოიკვლევოდეს, რომ უფრო სახელი მიეცეს. ამავე სოფელში ბ-ნმა ი. ა. ანთაძემ გახსნა მთავრობის ნებართვით საკუთარი „ფოტოგრაფია“.

*** რედაქციამ მიიღო მ. თოიძისაგან დახატული ლიტოგრაფიის სურათი ილია ჭავჭავაძისა იმავე ფორმატისა, როგორიც შოთა რუსთაველისაა; სურათი დახატულია ორგვარს ქაღალდზედ, თხელ ქაღალდზედ, რომელიც ღირს ხუთი შაური და სქელ ქაღალდზედ—ექვსი შაური. მზადდება დასაბეჭდად და მალე გამოვა სურათები რაფაელ ერისთავისა და ეგ. ნინოშვილისა.

## კორესპონდენცია.

—

**პარიჟი**, 31 (19) აგვისტო. არ ვიცი ადევნებთ თქვენ ყურადღებას თუ არა, მაგრამ აქაურს საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობას-კი დიდი ამბავი აქვს ამ ჟამად ერთის შემთხვევის გამო: კარმოში (ტარნის („Tarn“) დეპარტამენტში, სამხრეთ საფრანგეთისკენ) შუშის ქარხნის მუშებმა შეერთებული წინააღმდეგობა გამოუცხადეს თავისს პატრონებს, ან, როგორც აქ ამბობენ, „გრევი“ (grève) მოახდინეს. მიზეზი, როგორც ყოველგან მაგისთანა შემთხვევაში, მეპატრონეების სასტიკი მოპყრობა უნდა იყოს: მუშების საზოგადოებამ,— სინდიკატებმა,— ამოირჩიეს თავისის ინტერესების დამცველნი მოწინავე კაცები, რომლებიც, ადვილი წარმოსადგენია, პატრონების სასარგებლო მოთხოვნილებას არ წარადგენდნენ; ამიტომ მხოლოდ ამ შემთხვევით ჟურნალ-გაზეთებში „სახელ-განთქმულმა რესსეგიემ“, ქარხნის უფროსმა დაითხოვა მუშების ინტერესების დამცველნი და ყოველივე მათ კანონიერ მოთხოვნილებაზედ უარი განუცხადა.

ამას შემდეგ მუშებმა ქარხანას თავი დაანებეს და განზე გადგნენ. პირველად „ცნობილი რესსეგიე“ დიდად „ყოყოჩობდა“ და ამბობდა: „მე ვაჩვენებ ჩემს მუშებს, რას ჰქვია წინააღმდეგობაო, შიმშილით სულს ამოვხდიო“; მაგრამ მუშების გასამხნევებლად აქედგან, პარისიდგან, კარმოში გაეშურნენ ეხლანდელი ცნობილი დეპუტატები—სოციალისტები (ჟორესი, მილლერანი, ვივიანი, კლოვის-უგი), რომლებმაც შესძახეს: «არ შეშინდეთ, გამხნევდით, ჩვენც თქვენთან ვართო»!

ამ დროს აქედგან საუკეთესო ჟურნალებმა, რომლებიც თანაუგრძნობენ ნამდვილის გაჭივრებულების ინტერესს, მიჰმართეს საზოგადოებას დასახმარებლად; მარტო „La petite répu blique“-ი და «L''intransiqeant»-ი ჰენრი როშფორის თაოსნობით ათი-ათასობით ფრანკებს გზავნიან ყოველ-დღე კარმოში მოწინააღმდეგეების დასახმარებლად; ამას გარდა, როგორც აქ, ისე კარმოში, ყოველ-დღე იმართება კონფერენციები, ლექციები, გამოდის მრავალნაირი სამღერალი ლექსები ნოტებზედ გადაღებული და ამნაირად უთვალავი ფული იკრიბება. მართლაც იშვიათია ასეთი წინააღმდეგობა. მუშების „გრევი“, როგორც ვიცით, თითქმის ყოველ თვეში ხდება სხვა-და-სხვა ევროპის მხარეებში, მაგრამ ამდენი ხანი თითქმის არც ერთს არ გაუძლია. ინგლისში და ბევრგან სხვა ქვეყნებში დიდი მდიდარი საზოგადოება არსებობს საკუთრად მაგისთანა მდგომარეობის დროს მუშების დასახმარებლად, მაგრამ დიდი-დიდი ორს, სამს კვირეს სძლებენ, მეტს ვერა, აქ-კი აგერ ორი თვე გავიდა, მაგრამ მხნედ არიან და კიდევ იმედია დიდხანს გასძლებენ.

დღეს ცნობილი ორატორი, სოციალისტი დეპუტატი ჟორესი ჩამოვიდა კარმოდგან და დიდი მიტინგი (Le grand meeting pour les affamés de carmaux) გაჰმართა კარმოს მუშების სასარგებლოდ დიდ «ტივოლის“ ზალაში, სადაც აუარებელი, უთვალავი ხალხი შეიკრიბა; საღამოს ექვსი საათიდგან 10 საათამდის მიჯგუფებული იყო ხალხი ამ დიდის ზალის კარებთან, მაგრამ კიდევ ნახევარი თითქმის ვერ დაეტია შიგ. ხალხი დიდის აღტაცებით მიეგება თავისს საყვარელს ორატორს და მხნე მოღვაწეს: „vive Jaurès“, „vive la grève générale“ «vive la sociale», დიდ ხანს არ შეწყნარებულა; როდესაც ცოტაოდნად დაწყნარდა ხმაურობა, ჟორესმა შემდეგის სიტყვებით მიმართა საზოგადოებას:

„კარმოს მუშებმა დამავალეს მადლობა გადმოქცეთ პარიჟის დემოკრატ-სოციალისტებს; როგორც ყოველ დროს, ისე ეხლაც ყოველივე მცირეოდენიც საფრანგეთის სხვა-და-სხვა კუთხეების გულის-ძგერა უსათუოდ დაუყოვნებლივ გადმოეცემა თვით საფრანგეთის გულს—პარისსაო. კარმოს მუშები თანდა-თან უფრო მხნევდებიან, რაკი ხედავენ ასეთ საერთო, წრფელს თანაგრძნობას და ნამდვილს ძმურს გაწყობილებასაო.“

შემდეგ ორატორმა დაწვრილებით გადასცა საზოგადოებას ეხლანდელი კარმოს „გრევის“ ისტორია, მისი მიზეზი, მისი მდგომარეობა. დასასრულ ორატორმა სთქვა:

„მოაღწია დრომ, როდესაც სოციალიზმმა ბოლო უნდა მოუღოს იმ სენს, რომელიც დიდი ხანია ღრღნის და სტანჯავს უმრავლესს ნაწილს კაცობრიობისას—ეს არის დაცვა მუშების სიმართლისა კაპიტალისტების წინააღმდეგ. გავიმარჯვებთ ჩვენ, გავიტანთ ჩვენსას, რადგანაც ჩვენი ღონე და ძალა ჩვენს სიმართლეში, ჩვნს ერთობაში და თანაგრძნობაში არის.

მართლაც საქმე იქამდის მივიდა, რომ სოციალისტების დეპუტატებმა უკვე პროექტი შეადგინეს იმის შესახებ, რომ მოწინააღმდეგე მუშებისთვის ახალი ქარხანა გამართონ მუშებისთვის ყოველივე სასარგებლო წეს-რიგით და ამნაირად „რესსეგიესთანა“ პატრონების ფარფაშობას სამუდამოდ «წესი აუგონ». თვით მექარხნე რესსეგიემ, როდესაც დაინახა, რომ მართლა ღონე მისის მოწინააღმდეგებისა, ერთობის და თანაგრძნობისაკენ არის, ახლა-კი ჩამოჰყარა ყურები, მაგრამ გვიან-ღა არის! თუმცა „le temps, Figaro“ და სხვანი საფრანგეთის „პატივცემული“ გაზეთები დიდის ეჭვის თვალით უყურებენ ყოველსავე მაგისთანა გამარჯვებას და ახალს პროექტებს. და როგორც ყოველ დროს, ასეთს შემთხვევებში, პოლიტიკური ეკონომიის კანონებს იხვევენ ხელზედ, მაგრამ რომ ჩვენში იტყვიან, „სამართალმა პური სჭამოსო“,— შეიძლება ერთხელ მაინც გამართლდეს ეს ბრძნული ანდაზა. ვნახოთ!

6—კო.

## რუსეთის ცხოვრება.

—

ვოლინის გუბერნიაში ივნისიდგან დღემდის ოთხი-ათასს კაცზედ მეტი გამხდარა ავათ ხოლერით. შარშან იმავე გუბერნიაში 462 იყო ხოლერით ავათ და 1893 წელს—5,895 კაცი. ბოლო დროს ხოლერა მეტად მძვინვარებს ამ უბედურს გუბერნიაში: უკანასკნელს კვირას იქ 2,000 კაცია ხოლერით ავადმყოფი.

—

სექტემბრიდან დაიწყება მუშაობა

---

იდგინონ. მაგრამ შენ ხომ იმათთან საერთო არა გაქვს-რა. და ამიტომ ხელი მომეცი, განიბნიე ფერხთა შენთაგან შენის სამშობლოს მტვერი და აქეთკენ პირს ნულარასოდეს ნუ იზამ.

რობერტი. ჯერ დამაკმაყოფილონ და მერე.

ტრასტი. მაშ, გეტყობა, უეჭველად გინდა იბრძოლო.

რობერტი. არ მინდოდა და განვიშორე კიდეც ეგ აზრი თავიდგან, მაგრამ ეხლა-კი, ეხლა სწორედ მაგასა ვარ მოწადინებული.

ტრასტი. ნურც აგრე ახირდები, ეგ ხომ მეტად ძველ, დახავსებულ წესისა და სჯულის მიყოლაა.

რობერტი. იქნება ძველს წესსა და სჯულს მივდევდე, შეიძლება... იქნება იმიტომაც მომდის ასე, რომ გლეხადა ვარ დაბადებული... პატიოსნება მეტად გარეგნად მესმის და შენთა აზრთა სიმაღლემდე ვერ ამოვაღწევ. თავი დამანებე, დეე ჩემმა უგუნურებამ მევე მომიღოს ბოლო.

ტრასტი. უარი რომ სთქვას?

რობერტი. არ გავაბედვინებ უარის თქმას.

ტრასტი. აი, რადა სდომებია დამბაჩა!.. (იმას) ერთი სიტყვაც, ჩემო პაწიავ... თუ მაინცა და მაინც იმასა ხარ მოწადინებული, რომ ბ-ნმა კურტმა შუბლი გაგიხვრიტოს, ამ თავითვე ყოველივე ხელ-მოსაჭიდებელი მიზეზი უნდა მოუსპო უარის თქმისა.

რობერტი. მართალს ამბობ.

ტრასტი. (ქისას ამოიღებს) გერიდება თუ?

რობერტი. უმაგისოდაც ბევრი სიკეთე გიქმნია ჩემთვის.

ტრასტი. (ჩეკს გადასცემს) აჰა, გამომართვი.

რობერტი. ვერასოდეს რომ ვერ შევიძლო ამ ფულის შეძენა და ვალის გარდახდა?

ტრასტი. მაშინ ბუხარში დავწერ ნახშირით, სწორედ ისე, როგორც წესია მეგობრებს შორის ანგარიშის გათავებისა. (თავზედ ხელს გადაუსვამს) მანდამდე-კი საქმე არ მივა. ჰმ! ჩემო კარგო... ერთს გარემოებასაც უნდა მიაქციო ყურადღება, რომელიც შენ სრულიად დაგავიწყდა.

რობერტი. რა გარემოებას?

ტრასტი. ლეონორა?

რობერტი. (შეკრთება) იმის შესახებ ნურაფერს მეტყვი!

ტრასტი. გიყვარს?

რობერტი. მაგის პასუხს ვერ მოგცემ.

ტრასტი. მერე ძმის მკვლელად უნდა მიაჩნდე?

რობერტი. ეგა სჯობია იმას, რომ ფლიდ და უპატიოსნო კაცად მიცნოს.

ტრასტი. (წელში გასწორდება) მე?.. განა აგეთივე ფლიდი და უპატიოსნო კაცი არა ვარ? განა შენ-კი მართებულ და პატიოსან ადამიანად არ მიცნობდი? განა მეც სხვებსავით თავი ამაყად არ მიჭირავს? გრცხვენოდეს.

რობერტი. (მცირეოდენის ხნის სიჩუმის შემდეგ) ტრასტ, მაპატიე.

ტრასტი. გაპატიო? სისულელეს ამბობ. მიყვარხარ, მორჩა და გათავდა.

რობერტი. ტრასტ... მე არ... არ ვიბრძოლებ.

ტრასტი. სიტყვას მაძლევ?

რობერტი. გაძლევ.

ტრასტი. მაშ წავიდეთ.

რობერტი. სად?

ტრასტი. რა ვიცი, ქვეყანა დიდია.

რობერტი. შემინდე-კი, მაგრამ განა უარს ვიტყვი იმ სიამოვნებისაგან, რომელსაც ვიგრძნობ, როცა... ფულს უკან მივახლი ამ კეთილის-მყოფელს.

### III

იგინივე და ვილჰელმი.

ვილჰელმი. ბატონი ეს არის ეხლა შებრძანდა კანტორაში.

ტრასტი. (თავისთვის) კურტი არა სჩანს. საქმე მშვენივრად ეწყობა.

რობერტი. (ქაღალდებს წააკლებს ხელს) მე მივდივარ.

ტრასტი. კარგი, იქ მომიცადე.

რობერტი. შენ აქ რაღა გინდა?

ტრასტი. ეგ ჩემი საქმეა. აქ მომიახლოვდი. (ხვლის ხმით) ვიდრე წახვიდოდე, შენი დამბაჩა მე გადმომეცი.

რობერტი. (შეშინებული) როგორ? განა იცი, რომ...

ტრასტი. მეტად ნათლადა სჩანს შენს ჯიბეში და შეუძლებელია არ ვიცოდე.

რობერტი. გთხოვ... დამიტოვე... ნუ-თუ არ მენდობი?

ტრასტი. მეშინიან, ვაითუ ჯერ კიდევ ძალიან ჰგავდე ჩემს პეპეს.

რობერტი. ნუ თუ, მართლაც, ჩვენს პატიოსანს სიტყვასაც-კი, რაკი უპატიოსნონი ვართ, მნიშვნელობა აღარა აქვს?!

ტრასტი. კარგი. გქონდეს. (რობერტი და ვილჰელმი გადიან. ტრასტი შეიძვრება, თითქოს უნდა შეაჩეროს რობერტი, მაგრამ ისევ შესდგება) მგონი გაუფრთხილებლად მოვიქეცი!... მაგრამ არა უჭირს-რა, თუ ის ბალანა დაბრუნდა, შევაჩერებ და იმდენს ხანს დავიჭერ, რამდენს ხანსაც-კი შესაძლებელი იქნება. ეხლა საქმე ეს არის, თუ ის ყმაწვილი ქალი სწორედ ისეთი გამოდგა, როგორიც მე მეჩვენა...

### IV

ტრასტი და ლეონორა.

(ლეონორა ზამთრის ტანისამოსშია, ბეწვის ქუდი ჰხურავს და ბეწვისავე ტანისამოსი აცვია; ხელში მუფთა უჭირავს. მარჯვნივ შემოდის).

ტრასტი. ა-ა-ა, აი ამას-კი ბედს ვეძახი!

ლეონორა. (ხელს ჩამოართმევს. აღელვებული) იცით, გრაფ, ეს არის ეხლა სად ვიყავი? თქვენსას. (წამოსასხამს იხდის) გაგაოცათ, შეგზარათ განა ჩემმა გაბედულობამ?! რა მექნა, როდესაც მხოლოდ თქვენგან შემეძლო შეტყობა, რა ჰხდება აქა. მეშინოდა... დიდი ხანია ეჭვი მქონდა აღებული, რომ ჩემი ძმა მზად იყო გაეტაცა და დაეღუპა ეგ ყმაწვილი ქალი...

ტრასტი. ოჰ, ნეტა მარტო ეგ იყოს?

ლეონორა. სხვა რაღაა?

ტრასტი. უნდა გამოგიტყდეთ, შესაფერი სიტყვა ვერ მომიძებნია, რომ ყმაწვილს ქალს...

ლეონორა. თუ ღმერთი გრწამთ, ნურას დამიფარავთ, ყველაფერი მითხარით.

ტრასტი. მაშ მომისმინეთ. თქვენმა მშობლებმა საჭიროდ დაინახეს დაევიწყებინებინათ ამ ღარიბის ხალხისათვის თავიანთი სირცხვილი და სწორედ იმ მხრიდგან მოუარეს საქმეს თავისის განზრახვის შესასრულებლად, რომელიც ყველაზედ ადვილი იყო—სიღარიბის მხრივ.

ლეონორა. ნუ თუ სწორედ გავიგონე? ჩემმა ძმამ თავი გამოისყიდა იმ ქალისაგან?! (ტრასტი ჰო-ს ნიშნად თავს დაუქნევს) ოჰ, ღმერთო შემიწყალე!

ტრასტი. რასაკვირველია, თავს შევიკავებ და არ განვსჯი იმათს საქციელს, მით უფრო, რომ ეს საშუალება ჩვეულებრივი საშუალებაა, რომლითაც ყოველთვის ბოლოს უღებენ ხოლმე ასეთს კავშირს. მაგრამ ძალიან-კი ვშიშობ, ჩვენმა მეგობარმა არა ჩაიდინოს-რა.

ლეონორა. (სახეზედ ხელებს მიიფარებს) რითი შემიძლიან ყოველივე ეს შევასწორო როდისმე?

ტრასტი. განა ეგ თქვენს მოვალეობად მიგაჩნიათ?

ლეონორა. რაღა თქმა უნდა, მთელის ჩემის არსებით მძაგს და მძულს ჩვენის ოჯახის ეს საზიზღარი ჩვეულება. ფულით ყიდვა... ყველაფრისა, სულ ყველაფრისა... პატიოსნებისა, უფლებისა, სიყვარულისა... რა უშავს, ხომ შეგვი-

კომისიისა, რომელსაც სამიწათ მოქმედო სამინისტროსაგან აქვს მინდობილი განიხილოს საშუალებანი, რომლით შეიძლებოდეს შინაურის მრეწველობისა და ხელთ-საქმეობის გაძლიერება და გაუმჯობესობა.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** პარლამენტის სხდომები დაიწყება ათს ოქტომბერს.

„რევიუ კატოლიკ“-ი ამბობს, რომ ყველა საეკკლესიო კონგრეგაციებს საფრანგეთის ცხრა ეპარქიისას უარი უთქვამთ გარდასახადზედ, რომელიც ახალის კანონით გაიწერა მათზედ.

**კუბა.** აჯანყებულებმა კუბა დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიარეს. ბოლო დროს შეგროვდნენ წარმომადგენელნი ხუთის პროვინციისა და შეიმუშავეს საფუძველნი კონსტიტუციისა. რესპუბლიკა ფედერაციის წესზედ აიგება და შედგება ხუთის შტატისაგან. პრეზიდენტად არჩეულ იქმნა მარკიზი სანტა-ლიუსი; იმავე კრებამ აირჩია პრეფექტები და სხვა მოხელენი; კრებამვე გენერლობა უბოძა აჯანყების მოთავეთ—მასეოს, გომეცს და როლოფას. კუბის შეერთებულ შტატების დედა-ქალაქად დროებით აღიარებულ იქმნა სოფელი Najasa. ახალმა მთავრობამ ხარჯიც გააწერა კიდევაც.

„დაილი ხრონიკლ“-ში დაბეჭდილია დეპეშა ვაშინგტონიდგან, ვითომც ესპანიის საელჩოს მთავრობისაგან ცნობა მოსვლოდეს, რომ ესპანია უარს აცხადებს კუბასთან ბრძოლისას.

**სერბია.** ოფიციალური გაზეთი ასე მოგვითხრობს მეფე ალექსანდრეს ხიფათისაგან გადარჩენას: 19 აგვისტოს, საღამოს 8 საათზედ, მეფე ალექსანდრე და მისი ადიუტანტი მაიორი რაშიჩი მოვიდნენ ზღვის ნაპირზედ. იქ მათ დახვდათ ლეიბ-მედიკი იოვანოვიჩი და ცურვის მასწავლებელი სარასოლა. მეოთხედ საათის შემდეგ ოთხივემ დაიწყეს ღზვაში ბანაობა. უეცრად წყალმა იმატა. ცურვის მასწავლებელმა ანიშნა მობანავეთ, რომ ნაპირისკენ გაეცურათ, მაგრამ დიდმა ტალღებმა მოუსწრო და ცურვა მეტად გააძნელა. რაშიჩი და იოვანოვიჩი, რომელნიც ნაპირთან ახლო იყვნენ, ხუთის წამის საშინელის ბრძოლის შემდეგ ნაპირს გავიდნენ. ბოლოს მეფემაც სძლია ტალღებს და გამოცურა. ცურვის მასწავლებელი-კი ტალღებმა შთანთქა; რადგანაც სარასოლა შესანიშნავი მცურავი იყო, შესაძლებელია მას ცურვის დროს დამბლა დაეცა. მეფემ სარასოლას ქვრივს 2,000 ფრანკი უბოძა. სარასოლა, რომელმაც ცოლი შარშან შეირთო, ჯერ 26 წლისაც არ იყო.

**ესპანია.** გაზეთ „დია“-ს სიტყვით ახალშენების მინისტრი სამსახურს თავს ანებებს. ამ მინისტრს ძალიან ემდურებიან ესპანიაში, რადგანაც მან დროზედ საშუალება ვერ იღონა კუბის აჯანყების წინააღმდეგ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

სოფიელ კორესპონდენტის სიტყვით „ბერლინერ ტაგბლატტ“-ი ისეთს ამბებს იუწყება ბალკანის ნახევარ კუნძულის შესახებ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დღევანდელი მიყუჩებული მდგომარეობა დიდის არეულობის მომასწავებელია.

მაკედონიის საქმე ჯერ კიდევ არ გარდაწყვეტილა. მაკედონიაში მუდამ დღე მიდიან აჯანყებულები, მაგრამ ჩვენ ნება არა გვაქვს გაცნობოთ რამე ამის შესახებ. სოფიაში ბევრი დინამიტია დამზადებული. დინამიტი შენობებისათვის გადმოიტანეს, მაგრამ ერთი ნაწილი მოპარულ იქმნა. გარდა ამისა პარისიდგან გამოიწერეს მელენიტი (ასაფეთქებელი ნივთიერებაა).

სტამბოლიდგანაც ცუდი ხმები ისმის. ვისაც სულთანი დილის 8 საათზედ დაჰპირდება რასმე, შუადღისას დიდის ვეზირის პირით უარს უთვლის და განკარგულებას ახდენს მოსპობილ იქმნას. ასეთს საშიშს მდგომარეობაში ვართ იმ დროს, როდესაც უნდა გარდასწყდეს სომხეთისა, მაკედონიისა და ბულგარიის საქმე. სოფლები დოსპადი და პატარა-ტირნოვო სოფიაში მომზადებულის დინამიტით ააფეთქეს. ალბანიაშიც აჯანყებაა. მთავრობის მიერ აღკრძალული სამხედრო გაზეთი ისევ ნება-დართულ იქმნა. გაზეთი აფრთხილებს მცხოვრებლებს ცანკოვის მომხრეთა ხრიკებს ერიდნენ და ურჩევს ოფიცრებს მზად იყვნენ, რადგანაც უკვე მოახლოვებულ არს საშიშარი მდგომარეობა.

„შეშლილად ნუ ჩამთვლითო, დასძენს კორესპონდენტი, თუ ვიტყვი, რომ ბულგარია დღეს თუ ხვალ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქმნება ცნობილიო“.

საფრანგეთის გენერალის მუნიეს წერილის საპასუხოდ, რომელშიაც იგი 1870—71 წლის გერმანელს ოფიცრებს ძარცვა-ქურდობაში ბრალსა სდებდა, გერმანიის სამხედრო ორგანმა „მილიტარ ვოშენბლატტ“-მა შემდეგი შენიშვნა დაბეჭდა:

ცნობილია, რომ ამ ერთის წლის წინად საფრანგეთის სასამართლომ 1,000 ფრანკი ჯარიმა შეაწერა მუნიეს დიფამაციისათვის. ამისა გამო გენერალი მუნიე არავითარის ყურადღების ღირსი არ არის გერმანიის ოფიცერთა კორპუსის მხრივ.

ტულაში, ქალაქის მამულებიდგან ასე 200 საჟენის მოშორებით, სრულიად შემთხვევით, იმის გამო, რომ გუბერნატორმა ყურადღება მიაქცია ჭიდგან ამოყოლილს ქვის ნახშირის ნაჭრებს, ქვის ნახშირი აღმოაჩინეს; ქვის ნახშირი 500 დესეტინის მანძილზეა ქალაქის საძოვარ ადგილებში, ერთის საჟენის სისქეზედ აღმოჩენილი. ქალაქისათვის ესე ახლო ქვის ნახშირის აღმოჩენა სწორედ დიდი ბედნიერებაა და უფრო-კი ქალაქის მცხოვრებთა უმეტესობისათვის, რადგანაც „ტულ. საგუბერნ. უწყ.“-ის სიტყვით,

შეშა რამდენიც ხანი გადის უფრო და უფრო ძვირდება, ხოლო მოსკოვიდგან ჩამოტანილს ქვის ნახშირს ერთი ცუდი თვისება აქვს, და სახელდობრ ის, რომ ჰაერზედ იშლება,· ხხვილი ნაჭრები იფხვნება და მტვერი-და რჩება ბოლოს. გარდა ამისა, ტულაში განვითარებულია ეგრედ წოდებული მცენარე-ხეხილების მოშენება-მრეწველობა და თუ ამ მრეწველობის მწარმოებელთათვის, რომელთაც არც თავისუფალი თანხა აქვთ და არც ისეთი შესანიშნავი შენობები, ძალიან სამძიმოა ქვის ნახშირით დატვირთვა ვაგონებისა, რატომ შემოდის ხმარებაში მეხანიკური ძალა და ნავთით სამუშავებელი მანქანები იმ წარმოებაში, სადაც იგი საჭიროა; მაგრამ რადგანაც დღეს ქვის ნახშირი ასე ახლო აღმოაჩინეს, საჭირო აღარ არის წინადვე თავდარიგი გასწიონ ხოლმე და დაამზადონ ქვის ნახშირი; სავაჭრო და სამრეწველო შენობებს საჭიროებისა მიხედვით შეუძლიანთ მუდამ მიიღონ ქვის ნახშირი.

## წყლის ზარალი.

ზოგან შეუბრალებელი ზღვა გადმოდის თავისს ტალღებით და ჰლეკავს მინდვრებს, როგორც მაგალითად ჰოლანდიაში, მაგრამ იქ ხალხს არა სძინავს და დროზედ პატრონობს თავიანთს მამულ-დედულს. ჩვენში.?..

მოიხსენიეთ ჯერ სამის სოფლის ამბავი, წყალი რას ჩადის და როგორ ყურზედ სძინავს ჩვენს ხალხს და მერე სხვა სოფლების ამბავს მოგიყვებით. სოფელი ხაშმი (ტფილისის მაზრაშია) ერთი მდიდარ სოფელთაგანია მთელს მაზრაში. შეძლებაცა აქვს და შეუძლია ბევრი რამ საკეთილო გაიკეთოს, თუ სოფელს პატრონი ეყოლება, მაგრამ დღეს რას ვხედავთ? დაუნდობელი იორი ამ ყურზედ მძინარე სოფლელებს დღე მუდამ უჭრით ვენახებს, და მიაქვს ვაზი თუ ხეხილი. დასავლეთის მხრივ კაცმა რომ ჩამოუაროს ვენახებს, ჰნახავს ვაზებს ჩაკიდებულს წყალში, გული აგიდუღდება, და აქვე მდგომ პატრონებს რომ ეუბნები, თუ რატომ არ მოუვლიან რასმე, შემოგვნებისაგან, იმიტომ-რომ, მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენ ჩვენთვის შეურაცხყოფა არ მოგიყენებიათ.

ძლიან . . . შეძლება ნებას გვაძლევს . (სავარძელში ჩაჯდება დონემახდილი, მაგრამ ისევე მალე წამოდგება) უკაცრავად, თავი ვერ შემიმაგრებია. ჩემის მშობლების შესახებ ისე ვლაპარაკობ, თითქოს უცხონი იყვნენო.

ტრასტი. იქნება უფრო უცხონი იყვნენ, ვიდრე თქვენა გგონიათ!

ლეონორა. (გაოცებული) ახ, ეგ რომ მართალი იყოს. (ტრასტი ყურს უგდებს) რა ამბავია?

ტრასტი. თქვენის ძმის ხმა არ არის?

ლეონორა. (კარებთან მივა) ჰო, ის არის თავისს მეომრებთან ერთად.

ტრასტი. (თავისთვის) დავაშავე, დამბაჩა არ უნდა დამენებებინა. (შლიაპას აიღებს და ხმა მაღლა იტყვის) კანტორაში შევა?

ლეონორა. არა, მგონი აქ მოდიან.

ტრასტი. (შლიაპას ისევე დასდებს) ძალიან კარგი, მეც აქ დავიცდი. M—lle, ერთი თხოვნაც. მე და ჩემი მეგობარი დღეს ამ სახლს დავტოვებთ, ხვალ ქალაქს და, იმედი მაქვს, ევროპასაც ჩქარა გამოვეთხოვებით.

ლეონორა. (თავისთვის) ღმერთო!

ტრასტი. მაგრამ დღეს-კი მინდა ხელი შევუშალო რობერტისა და თქვენის ძმის ერთად შეყრას. თუ დამიშლის რამე ამ საქმეში ჩარევას, გთხოვთ აქვე ახლოს იყოთ.

ლეონორა. (მოწონებით დაუქნევს თავს. მარცხნივ მიდის. შუა გზაზედ მობრუნდება) როგორ მოვიქცე, გრაფ?

ტრასტი. ისე, როგორც თქვენმა გულმა გირჩიოთ. თავს ნუ უღალატებთ.

ლეონორა. სწორედ ეგრე მოვიქცევი. (გადის).

ტრასტი. ეხლა ძმა დავგრჩა.

V

ტრასტი და ბრანდტი, შტენგელი და კურტი.

კურტი. (გაიოცებს) გრაფ?

ბრანდტი. (ნელის ხმით) კარგია, რომ ჩვენც ამასთანა ვართ.

ტრასტი. ბ-ნო მიულინგ, გთხოვთ რამდენიმე წუთი შემომწიროთ.

კურტი. დრო არა მაქვს, გრაფ. მამა მიმელის.

ტრასტი. (თავისთვის) ოჰო! (მაღალის ხმით) ერთად-ერთი თხოვნა მაქვს.

კურტი. მე ჩემს მეგობრებთან დაფარული არა მაქვს-რა, გრაფ. (დასხდებიან).

ტრასტი. ერთი ჩემი საუკეთესო მეგობართაგანი დიდად არის თქვენგან შეურაცხ-ყოფილი. ჩემის რჩევისა და სიყვარულის გამო გადასწყვიტა პასუხი აღარ მოგთხოვოთ.

კურტი. სცდებით, გრაფ, ბ-ნი ხეინეკე უკვე სრულიად დაკმაყოფილებულია.

ბრანდტი. სხვაფრივ იმისი დაკმაყოფილება ჩვენ არ შეგვეძლო.

ტრასტი. (თავიდგან ფეხამდის თვალს ჰკადავლებს) თავი დავანებოთ ამ ლაპარაკს, ბ-ნო მიულინგ. ჩემის აზრით, ჩემი მეგობარი ეხლა მამათქვენთან იმყოფება, რადგან აიხირა, უეჭველად მე თითონ უნდა ჩავაბარო ანგარიშიო.

კურტი. იმისი ნება, თუ-კი აგრე ესიამოვნებოდა.

ტრასტი. ამასთანავე თქვენის ნახვის შემთხვევასაც ეძებდა.

კურტი. შეუძლიან მნახოს, გრაფ.

ტრასტი. ერთს საათს შემდეგ ჩემი მეგობარი ქარხანას დასტოვებს. რადგან ამ ჟამად ძალიან აღელვებულო, დიდად სასურველი იქნებოდა, რომ ერთმანეთის ნახვას ასცდენოდით.

ბრანდტი. გრაფ, სიმხდალის გამომწვევს სიტყვებს გერმანელის გულში შიში არასოდეს არ ჩაუნერგია.

ტრასტი. (აუშფოთებლად) ბ-ნო პარუჩიკო, მე ჩემის თავისათვის თქვენთან დალაპარაკების ნება არ მიმიცია. ბ-ნო მიულინგ, კარგად მოიფიქრეთ, ამას ის კაცი გირჩევთ, რომელსაც ამ ხანად ძვირად უნდა აფასებდეთ, რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ გესიამოვნებოდეთ და მოგწონდეთ. ამას მევე გულ-ახდით აღვიარებ. ამიტომ ჩემს თავს ნებას მივცემ და მეგობრულად მოგმართავთ. ამ ბატონების სიტყვასა და გავლენას ნუ აჰყვებით.

შტენგელი. ჩვენ ნუ აგვყვები, ნუ.

ტრასტი. გზა გაუხსენით იმ გრძნობას, რომელიც იმას ამოგძახით, რომ უსამართლოდ მოექეცი შენს მახლობელსაო და ეს უსამართლობა უნდა აღიაროო. ჩუმადა ხართ? განა რომ აასრულებთ ჩემს თხოვნას?

ბრანდტი. (ნელის ხმით ეტყვის უკანიდგან კურტს) აბა, ახლა-კი ერთი კარგად შეამკე.

კურტი. ჩუმადა ვარ, გრაფ, რადგანაც სიტყვები ვერ მომიძებნია, რომ ჩემი გაოცება და გაკვირვება აღვნიშნო თქვენის უცნაურისა და ახირებულის სურვილის გამო. (ყველანი წამოდგებიან).

ბრანდტი. (ნელის ხმით ეტყვის უკანიდგან კურტს) მშვენიერია, საუცხოვოა.

კურტი. ჩემს თავს ნებას მივცემ და გკითხავთ, რა უფლებით ჰბედავთ და ჩემს სახლში მევე მაგას მირჩევთ.

ტრასტი. და თქვენ-კი უარ-ჰყოფთ ამ რჩევას?

კურტი. განა მაგის ეჭვი გაქვთ, გრაფ?

ბრანდტი. (ნელის ხმით) შენებურად, კარგად შეამკე...

ტრასტი. (თავისთვის) მაშ უფრო უებარი საშუალება ვიხმაროთ. (გასაგონად) დიაღ, ვეჭვობდი, მცირეოდენი იმედი კიდევ მქონდა, რომ პატიოსანს კაცს ველაპარაკები-მეთქი. Pardon, შევცდი.

კურტი. გრაფ, ეგ ხომ...

ტრასტი. შეურაცხებაა?—დიაღ.

კურტი. რომლისათვისაც პასუხს მიგებთ.

ტრასტი. მეც სწორედ ეგა მსურს.

კურტი. ხვალვე გაიგონებთ ჩემს სახელს.

ტრასტი. ხვალაო? განა თქვენში ამისთანა შეურაცხყოფის შემდეგ ძილიც შეუძლიანთ?!. მე ჩვეულებადა მაქვს, იმავ წამს ჩამოვირეცხავ ხოლმე ამისთანა ჩირქს.

კურტი. (ენა-დაბმით) თუ გნებავთ.

ტრასტი. (თავისთვის) მადლობა ღმერთს! (ხმა-მაღლა) მაშ ასე, წამობრძანდით.

ბრანდტი. (წაესარჩლება) საყვარელო კურტ, წეს-რიგს ნუ დაარღვევ, რადგან დუელში გაწვეულს ამ ბატონთან სალაპარაკო აღარა აქვს-რა. (მკვახედ) ჯერ ერთი, პატიოსნების წესდებულება გვავალებს, რომ თითოეულს თქვენგანს ოც-და-ოთხი საათი ვადა ჰქონდეს თავისის საქმეების წეს-რიგში მოსაყვანად, და მეორე, ჩვენ, ესე იგი ჩემი მეგობარი და მე, ვისარგებლებდით ამ უფლებით, იძულებულნი რომ არ ვიყვნეთ უარი ვთქვათ პასუხის მოთხოვნის სიამოვნებისაგან, იმიტომ-რომ, მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენ ჩვენთვის შეურაცხყოფა არ მოგიყენებიათ.

ტრასტი. ა-ა?!

ბრანდტი. თქვენ იმ კაცთა რიცხვს ეკუთვნით, რომელნიც ჩვენ ვერ შეურაცხ-გვყოფენ.

ტრასტი. (მხიარულად) დიაღ, დიაღ!..

ბრანდტი. გაიხსენეთ, თუ ღმერთი გრწამთ, რომ გრაფ ტრასტ ზაარბერგმა 1864 წლის 25 ივნისს, როგორც ნამდვილის საბუთის ქაღალდებიდგან შევიტყე, ქაღალდის ვალი ვერ გადაიხადა და ამის გამო იძულებული იყო ჯარისათვის თავი დაენებებინა. და აი ამიტომ (დაუდეკნელად დაუკრავს თავს) გრაფ...

ტრასტი (გადიხარხარებს) გულითადადა გმადლობთ, ბატონებო, ამ გაკვეთილისათვის... სავსებით დავიმსახურე, რადგან ყველაზედ დიდად დამნაშავე ის ადამიანია, რომელიც ერთს გზასა და კვალს არ მისდევს. ესეც არაფერი. აქედგან აი რა დასკვნა გამოვიტანე: რაც უნდა განშორდეს და შორს გადუდგეს ადამიანი აწინდელს აზრს პატიოსნების შესახებ, მით უფრო ამ აზრის მონაა, თუნდა იმასაც იყოს მოწადინებული, რომ განსაცდელიდგან დაიხსნას თავისი უბედური მეგობარი. მაქვს პატივი... Pardon, არა, არა მაქვს, თქვენ ხომ არა გრწამთ იგი.. მაშ ასე, უბრალო სიამოვნება-ღა დამშთენია გამოგემშვიდობოთ, მაგრამ ეს სიამოვნება-კი ჩემთვის უფრო სასიამოვნოა. (სიცილით თავს უკრავს და გადის).

ა. ახნაზაროვი

(დასასრული იქნება)

ჩივლებენ, რა ვქნათ, სოფელი არ გვიდგება, ვისაც აქ ვენახი არა აქვს და ჩვენც ვერაფერი გაგვიწყვია მარტოკა. თითო ვენახს ხუთი-ექვსი საჟენი აქვს ჩამორთმეული წრეულ და საგაისოთ უფრო ხელს არ დაჰკრევს, რასაკვირველია, თუ მალე არ უპატრონეს. ჩემის ფიქრით, რამდენიმე ათასი თუმანი ზარალი მიუცია სოფლისათვის. ასეთივე დღე დაუყენებია იორს სოფელ სართი-ჭალისათვის, რომლის ვენახებიდანაც ეზიდება დღე მუდამ ვაზებს. შურიანი მეზობლები დაზარალებულს ეუბნებიან, რა ვქნათ რა გატირებს, ჩვენ რა გიშველოთ, იორი თავისს ჩაყრილს ყორღნებს ეძებს, თუ შენი მამა-პაპა გადაუდგა იორსა და კიდე წაართვა ოდესღაც და ხეხილი და ყურძენი აჰყირა, ახლა შენ უკან უნდა დაუბრუნო იორს „დავნოსტობა“ არ უწერია კანონში. დაგალონებს ამგვარი ამბავი, მაგრამ რას იზამთ. ამგვარსავე ზარალს აძლევს სოფელ საგარეჯოს „თვალთხევი“, რომელსაც მხოლოდ კალაპოტი რომ ამოეწმინდოს, რომელიც გადაუსილავს რიყით, ამდენს ზარალს აღარ მისცემს სოფელს; მაგრამ სად არის სოფლისთვის შეძლება, ჩაგონება, მოთავეობა და სხვა ამგვარი. ინტელიგენცია სოფელს გაურბის, როგორც ურია ღორის ხორცს და სოფელი-კი რჩება უპატრონოდ.

მზე-ჭაბუკი.

## წვრილი ამბები

—

უსაზღვრო ქვეყნიერობის სივრცე. ნიუორკის ჟურნალ „სუნ“-ში ამერიკელმა ვარსკვლავთ-მრიცხველმა რობერტ ბელლმა ფრიად საყურადღებო გამოკვლევა დაბეჭდა იმის შესახებ, თუ რამდენად დაშორებულნი არიან დედამიწიდგან ვარსკვლავები და სხვა-და-სხვა მნათობნი. ეს გამოკვლევა დამყარებულია იმ მოსაზრებაზედ, გვთქვათ რომ დედამიწა და სხვა-და-სხვა მნათობნი ელექტრონით იყვნენ ერთმანეთთან შეერთებულნი. გამოკვლევას აზრადა აქვს გამოანგარიშებულ იქმნას, რამდენი დრო დასჭირდებოდა ელექტრონს, რომ დედამიწიდგან რომელსამე მნათობზედ გადაიტანოს დეპეშა, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, რომ გზაზედ არსად არ გაჩერდეს? სახეში უნდა ვიქონიოთ ის, რომ ერთს წუთში დედამიწის გარემემო შემოხვეულ მავთულზედ შვიდჯერ გაირბენს ელექტრონის ძალა. ამაზედ მეტი დრო აღარც იმას დასჭირდებოდა, რომ დედამიწიდგან ელექტრონით დეპეშა გაიგზავნოს მთვარეზედ, ხოლო მზეზედ გასაგზავნად საჭირო იქნებოდა არა უმეტეს 8 წამისა. მაგრამ შედარებით იმ მნათობებთან, რომლებიც მალიან ახლო არიან ჩვენს დედამიწაზედ, ცენტავრის სამთავროში „ალფაზედ“ გასაგზავნად წამები, წუთები და თვეები არ იქნებოდა საკმარისი; აქ-კი სრული ოთხი წელიწადი დასჭირდებოდა ელექტრონას ძალას დეპეშის მისატანად. და ისეთი ვარსკვლავებიც ათასობითაა, რომლებზედაც ელექტრონის ძალა დღემდისაც ვერ მიაღწევდა, ამერიკის აღმოჩენის ამბავი რომ ეცნობებინათ კოლუმბის ახალს ქვეყანაში გადასვლის დროს. აი, რამდენად უსაზღვრო ქვეყანა; ვინ იცის რამდენი მნათობია კიდევ ჯერ აღმოუჩენელი ცის სივრცეში გაფანტული, რომლებიც არაგითარის ტელესკოპით არ სჩანან და რომელთა არსებობას გვიმტკიცებენ ფოტოგრაფიულს ფიცრებზედ დარჩენილი მალიან მკრთალი ნიშნები. ზეცის ფოტოგრაფია ურიცხვ ვარსკვლავებს გვიჩვენებს, მაგრამ იქამდის შორს არიან დედამიწიდგან, რომ დღემდის ქრისტეს ქვეყნად მოსვლას ვერ შეიტყობდნენ, თუნდაც იმავ დღეს ეცნობებინათ დეპეშით, თუმცა იმ დღიდგან აგერ 1895 წელიწადია გასული, ე. ი. დეპეშა სამოც მილიარდის წუთის განმავლობაში ვერ მიაღწევდა. მაგრამ ვინ იტყვის უარს იმაზედ, რომ იქ, მალიან შორს, ცის სივრცეში მრავალი ვარსკვლავი და მნათობებია, რომლებსაც დღევანდელი საუკეთესო ტელესკოპები ვერ გვიჩვენებენ...

—

მოძრავი სამკითხველო სასოფლო სასწავლებლებისათვის საფრანგეთში. ბოჟში, საფრანგეთის ერთს ოლქთაგანში, დაარსებულია მოძრავი სამკითხველო სასოფლო სასწავლებლებისათვის. სამკითხველო დაარსდა ხელის მოწერით, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ოლქის დეპუტატები და წერა-კითხვის გავრცელების მსურველნი. ზოგმა მათგანმა ერთჯერად შეიტანა ფული, ზოგმაც ყოველ წლიური დახმარება აღუთქვა. სამკითხველოს მმართველად კომიტეტია შემდგარი პირველ-დაწყებითის სასწავლებლების ინსპექტორის თავმჯდომარეობით, რომელიც ადგენს საკითხავ წიგნების სიას. სასწავლებლის დირექტორი, რომლის სახლშიაც მოთავსებულია სამკითხველო, სამკითხველოს ხაზინადარია. მის თანაშემწედ დანიშნულნი არიან მასწავლებლები.

ყოველს ოლქში, სასწავლებელში აქვთ კოპიო სამკითხველოს წიგნების სიისა. მასწავლებლები ადგენენ საჭირო წიგნების სიას. ამ სიას წარადგენენ ხოლმე ან პირდაპირ სამკითხველოში, ან პირველ დაწყებითის სასწავლებლების ინსპექტორთან. სამკითხველო იხსნება პირველ ხუთშაბათს ყოველ თვეს რვა საათიდგან ორ საათამდე. მეორე ორშაბათს, როდესაც მახლობელ ადგილებიდგან მოდიან აქ სავაჭროდ, წიგნები უკვე დამზადებულია გასაგზავნად.

წიგნების მისაღებად მასწავლებლები ან თითონ მოდიან, ან ბარათით ჰგზავნიან ვისმეს. წასაკითხათ წაღებული წიგნები უეჭველად უნდა დაუბრუნდეს სამკითხველოს მომავალის თვის პირველ ხუთშაბათს, ასე რომ სამკითხველოს გახსნის დღეს ყველა წიგნები წიგნთსაცავშივე იმყოფება. რადგანაც იმდენი სამკითხველოები არ მოიპოვება და რაც წიგნებია საკმაო, ამისთანა საშუალება ხელს უწყობს ადვილად და მალე იშოვონ მკითხველებმა საჭირო წიგნები. ჯერ-ჯერობით სამკითხველოში 300 ტომია. 1894 წელს, როდესაც პირველად დაარსდა ეს სამკითხველო, ოცდა-შვიდმა მასწავლებელმა, ყოველ ოლქში, ისარგებლა სამოცის სხვა-და-სხვა შინაარსის წიგნით. სოფლის მასწავლებლებმა დიდი მონაწილეობა მიიღეს ახლად დაწყებულს საქმეში. როდესაც სამკითხველო შეიძენს უფრო მეტს წიგნებს, ვიდრე ეხლა აქვს, მაშინ თავისს მოქმედებასაც გააფართოვებს.

## ბიბლიოგრაფია.

Проф. Г. И. Тернеръ. Первая помощь въ несчастныхъ случаяхъ и при внезапныхъ заболѣваніяхъ (до прибытія врача). Изданіе 3-е.

გამოცემა შეიცავს კურსს ლექციებისას, რომლებიც პეტერბურგში იკითხებოდნენ სამხედრო სასწავლებლების საპედაგოგო მუზეუმში. თავისს დროზედ ლექციები მრავალს ყურისმგდებელს იზიდავდნენ და იქამდის დიდმნიშვნელოვანნი აღმოჩნდა პანსიონებში მცხოვრებთათვის, რომ მათი წიგნად გამოცემა ყოვლად საჭიროდ შეიქმნა. ლექციების პირველი გამოცემა საერო განათლების სამინისტროსაგან მოწონებულ იქმნა სახმარებლად საშუალო სასწავლებლებში ფუნდამენტალურს ბიბლიოთეკებში, სამასწავლებლო ბიბლიოთეკებსა და სამასწავლებლო ინსტიტუტებსა და დაბალ სასწავლებლების ბიბლიოთეკებში.

საკვირველია, რომ ჩვენი ექიმები სრულიად არ ფიქრობენ დღემდის, ერთი ასეთი წიგნი გადმოსთარგმნონ ქართულს ენაზედ!

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

მოწყალეო ხელმწიფევ,
უფალო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, თქვენის პატივცემულის გაზეთ „ივერიის“ საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ ქ-ნ ელენტაა ელიზბარის ასულს წერეთლისას, რომელმაც შემოსწირა ჭიათურის უფასო სამკითხველო-ბიბლიოთეკას 20 მან. 73 კაპ. შეგროვილი მათ მიერ ჭიათურაში.

ირ. დეკანოზიშვილი.


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სარონკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის-ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

ახლად გამოვიდა და წიგნის მაღაზიებს დაურიგდათ გასასყიდად
ფილოსოფოსი

### სოკრატი.

თარგმანი მ. შარაძისა, გამოცემა შარაძისა და ამხანაგობის სტამბისა. წიგნი 64 გვერდია და ღირს ერთი შაური. ვინც ნარდად და დაკლებულის ფასით სყიდვას ისურვებს, უნდა მიჰმართოს მ. შარაძისა და ამხანოგობის სტამბას ნიკოლოზის ქუჩაზედ, № 21 „ივერიის“ რედაქციის ქვეშ.

გამოვიდა კ. თავართქილაძის გამოცემული ახალი წიგნი

### სახელმძღვანელო

საღმრთო სჯულის სასწავლებლად ძველისა და ახალის ისტორიისა.

მესამე გამოცემა სურათებით.

შედგენილი და შესწორებული სამრევლო სკოლების პროგრამაზედ მღ. ნესტორ ყუბანეიშვილის მიერ.

150 გვერდი ფასი 25 კაპ.

(10—6—2).

### სავაჭრო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის.
(წელი მეთოთხმეტე).

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1895—9 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორაც და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ათუთაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ზ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—1596—20).

„წერა-კითხვის საზოგადოების“
### წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| მარიამი, მოთხრობა ყმაწვილებისათვის, შმიდტისა . . . . . | » | 10 |
| ლექსები და წერილები ნ. ბარათაშვილისა . . . | „ | 60 |
| ქართლის ცხოვრება . . | 8 | „ |
| იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ . | 12 | 50 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . . | 1 | » |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . | „ | 70 |
| საქართველოს ისტორია მ. ჯანაშვილისა. . . . | „ | 70 |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი . . . . | 1 | 50 |
| წმ. ნინოს ცხოვრების ახალი ვარიანტი ე. თაყაიშვილისა. . . . . | „ | 40 |
| სამი ისტორიული ქრონიკა მისივე. . . . . . | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიას გამოცემულნი. . . . | 3 | „ |
| საქართველოს გეოგრაფია ვახუშტი ბატონიშვილისა | 3 | 30 |
| სამცხე მისივე . . . . | „ | 25 |
| ქართლი მისივე . . . | „ | 25 |
| მეფე დავით აღმაშენებელი ნ. ურბნელისა . . . | „ | 40 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, მისივე. . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | » | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . . | 1 | 25 |
| II вып. . . | 1 | 25 |
| III вып. . . | 1 | 50 |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . . | „ | 50 |
| Грамоты и другіе документы XVIII ст., его-же . . . . . . | 3 | „ |
| Очерки по исторіи грузинской словености А. Хаханова. . . . | 2 | „ |
| Грузинскіе дворянскіе акты, его-же . . . . | » | 60 |
| Переписка грузинскихъ царей съ россійскими государями. . . . | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ. С. Бѣлокурова. . . . . . | 3 | „ |
| Путешествіе по Гуріи и Адчарѣ Д. Бакрадзе. | 2 | 50 |
| Матеріалы для исторіи Кавказа. Буткова 3 т. | 7 | 50 |


Дозволено цензурою, Тифлисъ 31-го Августа 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.